ეთიკის კომისია

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

**პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ლ. დ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 24.09.2018

**საჩივრის რეგისტრაციის** №132/18

**საჩივარი შეტანილია:** ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი ..... /

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ თ. მ.-ისთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

## I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 24 სექტემბერს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. დ.-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ძმა - გ. დ. თავის მეუღლესთან ერთად ფაქტობრივად აღარ ცხოვრობდა, თუმცა ქორწინება ოფიციალურად შეწყვეტილი არ იყო და მას სურდა საერთო ქონებიდან წილის გამოყოფა, რისთვისაც საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, 2015 წლის ნოემბრის თვეში მიმართა ადვოკატ თ. მ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გ. დ.-ს წინასწარ გამოართვა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით - 1000 (ათასი) ლარი, 2016 წელს კვლავ გამოართვა 1200 (ათას ორასი) ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თ. მ. მის ძმას ეუბნებოდა, რომ საქმის წარმოებისთვის აუცილებელი იყო სადავო ბინის აზომვითი ნახაზის გაკეთება, თუმცა ბინაში გ. დ.-ის ოჯახის წევრები არ უშვებდნენ. ადვოკატის თხოვნით, საჩივრის ავტორის ძმამ კვლავ გადასცა დამატებით 1000 (ათასი) ლარი საქმის საჭიროებისთვის, რის შემდგომაც, საჩივრის ავტორის ძმა ნერვიულობის ნიადაგზე ლოგინად ჩავარდა და გარდაიცვალა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას თავადაც ჰქონდა სამართლებრივი პრობლემა და მისი ძმის გარდაცვალების შემდგომ, ადვოკატ თ. მ.-ს მისთვის უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება. კერძოდ, ვინაიდან, საჩივრის ავტორს არ ჰყავდა შვილი, მან იშვილა ძმიშვილი - დ. დ. და 1992 წელს მასზე გააკეთა თავისი საცხოვრებელი ფართის დაკანონება, თუმცა გარკვეული ხნის გასვლის შემდგომ, მისმა ძმისშვილმა საცხოვრებელი ბინის დაცლა მოსთხოვა. აღნიშნულის შემდგომ, საჩივრის ავტორის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ გააუქმა დ. დ.-ის შვილად აყვანის გადაწყვეტილება.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და მის ძმიშვილს შორის დღემდე მიმდინარეობს დავა საცხოვრებელი ფართიდან წილის გამოყოფის თაობაზე. ადვოკატი თ. მ. გ. დ.-ის გარდაცვალების შემდგომ, საჩივრის ავტორს ჰპირდებოდა, რომ დაეხმარებოდა მის ძმიშვილთან დავის მოგვარებაში, თუმცა ის დღემდე არ პასუხობს სატელეფონო ზარებს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. მ.-მ მას უნდა წარუდგინოს საქმისწარმოების ხარჯთაღრიცხვა და დაუბრუნოს „მითვისებული თანხა“.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2018 წლის 27 სექტემბერს ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა ადვოკატ თ. მ.-ს და აცნობა, რომ მის მიმართ ლ. დ.-მა ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით. ადვოკატმა სატელეფონო საუბრისას განმარტა, რომ 2017 წელს ეთიკის კომისიამ უკვე განიხილა ლ. დ.-ის საჩივარი მის მიმართ, მიღებული აქვს გადაწყვეტილება, და კომისიამ იხელმძღვანელოს წინა დისციპლინურ საქმეში მის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით.

2.2 ადვოკატმა თ. მ.-მ ლ. დ.-ის მიერ 2017 წლის 20 თებერვალს მის მიმართ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, დისციპლინურ საქმეზე N017/17 ეთიკის კომისიას 2017 წლის 13 ივნისს წარუდგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, მას ლ. დ.-თან არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ ჰქონია.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტი იყო ლ. დ.-ის ძმა - გ. დ., რომლის საქმეც მან აწარმოა სასამართლოსა და გამგეობაში. გ. დ.-ის ოჯახმა აზომვითი ნახაზის გასაკეთებლად ის არ შეუშვა ბინაში. ადვოკატს ამის გამო გ. დ.-ის შვილებთან კონფლიქტიც კი მოუვიდა. ადვოკატის განმარტებით, მან საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან მისი კლიენტი გარდაიცვალა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ლ. დ. ცხოვრობს ქ.თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, რომლის ბინაში ხვდებოდა თავის კლიენტს - გ. დ.-ს და ასე გაიცნო ლ. დ.. ადვოკატის განცხადებით, ლ. დ.-მა მას უთხრა, რომ ძმისშვილმა მას წაართვა ბინა. ადვოკატის განმარტებით, მან გამოართვა საბუთები, გადახედა და აუხსნა, რომ ეს საქმე იყო ხანდაზმული და შესაბამისად, მისთვის საადვოკატო მომსახურება არ გაუწევია.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მას ლ. დ.-ისგან არანაირი სახის თანხა არ აუღია და არც ზეპირი ან წერილობითი ფორმით მათ შორის შეთანხმება არ გაფორმებულა საადვოკატო მომსახურების შესახებ.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი თ. მ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი …../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული. ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ლ. დ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 24 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2015-2018 წლებში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

**4. შემაჯამებელი დასკვნა**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმისწარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 9(ვ) მუხლის საფუძველზე.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ 2017 წლის 20 თებერვალს ეთიკის კომისიამ მიიღო ლ. დ.-ის საჩივარი ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ (დისციპლინური საქმე N 017/17) და შეაფასა საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიები ადვოკატის მიმართ, რაც ეხებოდა საჩივრის ავტორის ძმის - გ. მ.-ის საქმეზე ადვოკატის მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურებას საერთო ქონებიდან წილის გამოყოფის საკითხზე, ადვოკატის მიერ მიღებულ ჰონორარს და გ. მ.-ის გარდაცვალების შემდგომ ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის გასაწევ საადვოკატო მომსახურების თაობაზე პრეტენზიებს. ლ. დ.-ის მიერ ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ წარმოდგენილი პრეტენზიების შეფასების შემდგომ ზემოაღნიშნულ დისციპლინურ საქმეზე (N017/17) ეთიკის კომისიამ, 2017 წლის 13 ივნისს მიიღო დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება.

5.2 კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება“), მუხლი 9(ვ)).

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ლ. დ.-ის ზემოთ მითითებული პრეტენზიები უკვე აქვს შეფასებული ეთიკის კომისიას 2017 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაში ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ. შესაბამისად, ამ პრეტენზიათა ფარგლებში არსებობს ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის და დებულების თანახმად, იგივე საკითხების თავიდან განხილვა დაუშვებელია.

5.4 საპროცესო კოლეგია აქვე განმარტავს, რომ დებულება არ ითვალისწინებს იმავე ადვოკატის მიმართ იმავე საქმეზე სხვა პრეტენზიებით საჩივრით მომართვის აკრძალვას, მაგრამ დებულების თანახმად, კომისია განმეორებით ვერ შეაფასებს იმავე მხარეებს შორის არსებულ საკითხებს, რომლებიც უკვე კომისიის მიერ შეფასებულია და მიღებულია გადაწყვეტილება.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 9(ვ) მუხლით და გადაწყვიტა:

**III სარეზოლუციო ნაწილი**

1. დისციპლინურ საქმეზე №132/18 ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი №...../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/